SOVIET GEORGIA CELEBRATED MAY 26 FOR THE FIRST AND LAST TIME

საბჭოთა საქართველოში პირველად და უკანასკნელად აღნიშნული 26 მაისი

Beka Gachechiladze
Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia,
Doctorate Degrees.
Tbilisi, Georgia
ORCID ID: 0000-0002-3017-4015
598 457857; b.gachechiladze27@gmail.com

Abstract

After February 25, 1921, the Soviet government tried in every possible way to win the favor of the population of Georgia, even though they managed to gain control over the country by force of arms, still, according to their outlook, they were doing a good deed, which they had to explain to the population. According to the command of the occupying forces of Soviet Russia and the Transcaucasian Bureau of the Communist Party, it was the government of the Democratic Republic that was repressive and oppressive to the population, but then again they also realized that the occupation would make a neutral person feel bad about the occupier, so in the initial period it was decided to pursue a "compromising" policy, which meant the conditional preservation of the old system, so that the population did not feel too big of a change and there were no disturbances in the country, which could result with serious consequences.

The Soviet occupation authorities kept local parties around, however covert surveillance and recruitment policies were launched against its members, the purpose of these actions being to physically or politically eliminate people who had more or less influence on the population.

In spite of this kind of covert actions, the Soviet occupation authorities could not avoid the demand of the population to celebrate the day of declaration of independence on May 26, which the Georgian nation considered as a national as well as a political achievement. Although the Soviet authorities did not want this day to be celebrated, they were forced to take into account the demand of the majority of the population, however, they found a solution that would be convenient for their rule, they transformed May 26, the Independence Day of the Georgian people, into an international day for the liberation of common workers, where they presented Georgia, not as An independent state, but a country of workers who were oppressed and real freedom was only brought by February 25. With such a distorted ideology, the authorities of Soviet Georgia celebrated May 26 for the first and last time during its existence without its real idea and essence.

Key words: Georgian democratic republic, Soviet occupation, The first year of the establishment of the occupation government. Independence Day, May 26.

ბექა გაჩეჩილაძე
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი,
საქართველოს ისტორიის დოქტორანტი
თბილისი, საქართველო
ORCID ID: 0000-0002-3017-4015
598 457857; b.gachechiladze27@gmail.com

აბსტრაქტი

1921 წლის 25 თებერვლის შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლება ყველამხრივ ცდილობდა საქართველოს მოსახლეობის კეთილგანწყობის მოპოვებას, მართალია მათ იარაღის ძალით მოახერხებ ქვეყანაზე კონტროლის მოპოვება, მაინც მათი შეხედულებით ისინი კეთილ საქმეს ჩადიოდნენ, რომელიც მოსახლეობისთვის უნდა აეხსნათ. საბჭოთა რუსეთის საოკუპაციო ძალების მეთაურობა და კომუნისტური პარტიის ამიერკავკასიის ბიუროს მოსაზრებით სწორედ დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება იყო მჩაგვრელი და მოსახლეობის შემავიწროვებელი, მაგრამ იმასაც ხვდებოდნენ, რომ ოკუპაცია ნეიტრალურ ადამიანსაც ცუდად განაწყობს ოკუპანტის მიმართ, ამიტომ საწყის პერიოდში „დამთმობი“ პოლიტიკის გატარება გადაწყდა, რომელიც ძველი სისტემის პირობით შენარჩუნებას გულისხმობდა, რადგან მოსახლეობას ძალიან დიდი ცვლილება არ ეგრძნო და არ მომხდარიყო ქვეყანაში არეულობა, რომელიც მძიმე შედეგებით შეიძლება დასრულებულიყო.

საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლების მიერ შენარჩუნდა ადგილობრივი პარტიები, თუმისი წევრების მიმართ დაიწყო მალული თვალთვალი და გადაბირების პოლიტიკა, ამ ქმედებების მიზანი იყო გაექროთ ფიზიკურად ან პოლიტიკურად ადამიანები, რომელთაც მეტ-ნაკლები გავლენა ჰქონდათ მოსახლეობაზე.

მიუხედავად საიდუმლო ქმედებებისა, საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლებამ თავიდან ვერ აირიდა მოსახლეობის მოთხოვნა აღნიშნულიყო დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე 26 მაისი, რომელსაც ქართველი ერი საკუთარი ერის მონაპოვრად და პოლიტიკურ მიღწევად განიხილავდა. მართალია საბჭოთა ხელისუფლებას არ სურდა ამ დღის აღნიშვნა, ისინი იძულებულნი იყვნენ მოსახლეობის უმრავლესობის მოთხოვნა გაეთვალისწინებინათ, თუმცა მოძებნეს გამოსავალი, რომელიც მათი მმართველობისთვის იქნებოდა სასარგებლო, მათ 26 მაისი, ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისდღეგარდაქმნესინერნაციონალურ,ზოგადმშრომელთა გათავისუფლების დღედ, სადაც საქართველო წარმოაჩინეს, არა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო არამედ მშომელთა ქვეყანა, რომელიც იჩაგრებოდა და რეალური თავისუფლება 25 თებერვალმა მოიტანა. ამგვარი დამახინჯებული იდეოლოგიით საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებამ თავისი არსებობის მანძილზე, პირველად და უკანასკნელად აღნიშნა 26 მაისი მისი რეალური იდეისა და არსის გარეშე.

საკვანძო სიტყვები: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, საბჭთა ოკუპაცია, საოკუპაციო ხელისუფლების დამყარების პირველი წელი. დამოუკიდებლობის დღე 26 მაისი.

შესავალი

საბჭთა საქართველოს არსებობის მანძილზე მხოლოდ ერთხელ 1921 წელს მოხდა 26 მაისის, დამოუკიდებლობის აღნიშვნა, რაც გამოწვეული იყო საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის მოთხოვნით, რასაც წინ ვერ აღუდგა ახლად ძალაუფლება ხელში აღებული საბჭოთა საოკუპაციო მთავრობა. 26 მაისი დამოუკიდებლობის და თავისუფლების დღე იყო 1918-1921 წლებში, რომელიც ეროვნული და პატრიოტული სულისკვეთებით აღინიშნებოდა, მიუხედავად მთავრობის სოციალისტური შეხედულებისა, 26 მაისი არ იყო არც მენშევიკების და არც რომელიმე სხვა პარტიის დღე, ის საქართველოს დამოუკიდებლობის დღე იყო. გასაბჭოების შემდეგ, საქართველოს მოსახლეობა შეეცადა შეენარჩუნებინათ ეს დღე და მისი სულისკვეთება, რაზეც საბჭოთა ხელისუფლებას სრულიად განსხვავებული შეხედულება და აზრი ჰქონდა. მათ მიერ აღნიშნული 26 მაისი, სრულიად განსხვავებულ აზრს და შინაარს ატარებდა, კომუნისტებმა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე ზოგადად მშრომელთა და გლეხთა გათავისუფების დღედ მონათლეს, იმ მმართველობისგან, რომელიც მანამდე საქართველოში არსებობდა და რასაც ისინი „მჩაგვრე ხელისუფლებად“ ასახელებდნენ.

მეთოდი

ახალი მასალების მოძიებით, არსებული წყაროების სინთეზით და ლოგიკური მსჯელობით ახალი აზრის ჩამოყალიბება, რომელიც განსხვა-ვებული კუთხით ან სრულიად უცნობი მოცემულობით დაგვანახებს ისტორიის ამათუიმ საკითხს და შესაძლებლობას მისცემს მკითხველს მიიღოს ახალი ინფორმაცია, რის შემდეგაც გაუჩნდეს კიდევ უფრო მეტი კითხვა და გამოიწვიოს მასში გაზრდილი ინტერესი მოცემულ ან მომიჯნავე საკითხთან დაკავშირებით, რამაც უნდა გამოიწვიოს მკითხველის კიდევ უფრო დაინტერესება და საკუთარი ძალებით ახალი მასალების მოძიება, მოკვლევა.

შედეგი

1921 წლის 26 მაისი, როგორც ეროვნული დამოუკიდებლობის დღის შენარჩუნება, მოსახლეობაში არ ჩააქრობდა და არ დაავიწყებდა მას ნამდვილ, დამოუკიდებლობის ხანას, საქართველოს ისტორიაში, რა გამოიწვევდა ახალი თაობების აღზრდას ეროვნულ ღირებულებებზე, რომლის გამაერთიანებელიც იქნებოდა 26 მაისი და მისი მნიშვნელობა. სამწუხაროდ საბოჭოთა საქართველოს ხელისუფლება სწორად აფასებდა 26 მაისი ფაქტორს და ხვდებოდა, რომ მისი შენარჩუნებით მოსახლეობაში წინააღმდეგობის კერები არასდროს ჩაქრებოდა, ამიტომ მათ მიიღეს ამ დღის გაქარწყლების და განადგურების გადაწყვეტილება, რომელიც საბჭოთა საქართველოს არსებობის მანძილზე მართლაც, რომ წარმატებით სრულდებოდა, მოსახლეობაში დიდი ხნის მანძილზე დავიწყებული იყო 1918 წლის 26 მაისი. დამოუკიდებლობის დღე დისიდენტური მოძრაობის ლიდერების: ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მიერ იქნა კვლავ გაცოცხლებული და ქართველი ხალხის გონებაში აღდგენილი.

მსჯელობა

ომი დასრულდა!, საქართველოს დემოკრტიული რესპუბლიკა საბჭოთა რუსეთთან მძიმე სამხედრო დაპირისპირებაში დამარცხდა, ხალხის მიერ დემოკრატიული გზით არჩეული ხელისუფლება უარი განაცხადა კაპიტულაციის გამოცხადებაზე და დამფუძნებელი კრების დადგენილების საფუძველზე იძულებული იყო დაეტოვებინა ქვეყანა და პოლიტიკურ ემიგრაციაში გამგზავრებლიყო.

საქართველოში დამყარდა საბჭოთა დიქტატორული მმართველობა, რომელიც უარყოფდა და ებრძოდა წარსულს, განსაკუთრებით იმ გამორჩეულ პერიოდს, როდესაც არსებობდა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა. დღიდან გასაბჭოებისა, საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლებამ მიზნად დაისახა დაემახინჯებინა ან საერთოდ გაექრო ცნობა თავისუფალი საქართველოს შესახებ.

გამომდინარე იქიდან, რომ საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში იარაღის ძალით იქნა დამყარებული, საოკუპაციო ხელისუფლება ხედავდა მისდამი საზოგადოების არა კეთილ დამოკიდებულებას, ქართველი ხალხი ხომ წითელ არმიას ყვავილებით ხელში და მოზეიმე არ შეხვედრია, პირიქით, მოსახელობამ მტერს მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა გაუწია. არც ბოლშევიკი აგიტატორების ცნობები გამართლდა საბჭოთა ხელისფულებისადმი, სადაც ქართველი ხალხის „ჩაგვრაზე და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ნატვრაზე“ იყო საუბარი, რეალობა განსხვავებული აღმოჩნდა. ამიტომ საჭირო გახდა მოსახლეობის ეტაპობრივად მიმხრობა ნებით ან იძულების გზით.

საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლების პროპაგანდა აგიტაცია გამუდმებით გაჰყვიროდა, რომ ქართველი მშრომელები „მჩაგვრელი და ბურჟუაზიული ექსპლუატატორული ხელისუფლებისგან გაათავისუფლა“, თუმცა ოკუპაციის პირველ წლებში მოსახლეობის უმრავლესობა დემოკრატიული ხელისუფლების მომხრე და მის ამომრჩევლად რჩებოდა და ცდილობდა წინააღმდეგობის კერების გაჩენას ქვეყნის მასშტაბით. საქართველოს მოსახლეობა წლების მანძილზე უსმენდა „მენშევიკთა“ პროგრამებს, ჯერ ცარისტული რუსეთის პეროდში და შემდგომ ხედავდნენ უკვე მათი ხელისუფლების პერიოდში განხორციელებულ ცვლილებებს, ამიტომ საბჭოთა ხელისუფლება ფიზიკური განადგურების მეშვეობით ცდილობდა საზოგადოებაში წაეშალა მეხსიერება დამოუკიდებელი საქართველოს შესახებ, რასაც სტერეოტიპული და გაყალბებული შეხედულების დამკვიდრების გზით ცდილობდა.

გასაბჭოების შემდეგ საოკუპაციო ხელისუფლებას საზოგადოების მხარდაჭერა, რომ მოეპოვებინა ყველანაირად ცდილობდა 1921 წლის ომის შემდეგ საქართველოში დარჩენილი პოლიტიკოსების გადაბირებას კომუნისტურ პარტიაში, რათქმაუნდა ეს ყოველთვის ნებაყოფლობითი არ იყო, საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლება დაშინების, პატიმრობის და სხვა უფრო სასტიკი მეთოდების მეშვეობით ცდილობდა დამოუკიდებელი საქართველოს დროს არსებული პოლიტიკური პარტიების ინტეგრირებას, რომლებიც საქართველოში დარჩენენ გასაბჭოების შემდეგ. პარტიათა

დაშლის საკითხს ადრეულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაშიც ვხვდებით, როგორც მეტად აღსანიშნავი ფაქტს. ერთ-ერთი პირველი ასეთი პიროვნება, რომელიც ამ საკითხს ეხმიანებოდა იყო თედო ღლონტი, რომელიც გასაბ-ჭოებამდე პარტია სოციალისტ-ფედერალისტთა რიგებში იყო და 1921 წლის შემდეგ ბოლშევიკურ პარტიაში გადაბარგდა: „არ არის არც ერთი ფურცელი რომელიმე ქართული გაზეთისა, სადაც არ იყოს განცხადება, რომ ესა და ეს მენშევიკი, მემარჯვენე ფედერალისტი ან მემარჯვენე ესერი, სწყევლის რა თავის წარსულს, არ სტოვებდეს მემარჯვენეთა წრეებს და არ გადადიოდეს სათანადო პარტიის მემარცხენე რიგებში.“ (ღლონტი, 1923)

1921 წელს საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა შეენარჩუნებინა „ბურჟიაზიული მჩაგვრელი ხელისუფლებისგან განმათავიუფლებლის“ როლი, რომელიც ებრძოდა არა საქართველოს დამოუკიდებლობას, არამედ საქართველოს მოსახლეობის მჩაგვრელ „მენშევიკებს“, ამიტომ მათივე აგიტაციიდან გამომდინარე ისინი წინ ვერ აღუდგებოდნენ 26 მაისი აღნიშვნას, რადგან ის არა „მენშევიკების“ არამედ საქართველოს დემოუკიდებლობის გამოცხადების დღე იყო. აქედან გამომდინარე 1921 წლის 26 მაისი დამოუკიდებლობის აღნიშვნა მიუხედავად საბჭოთა ხელისუფლების დიდი იდეური წინააღმდეგობისა მაინც აღინიშნა.

წარსულთან და დამოუკიდებლობასთან ყველაზე ახლო შეხება მო-სახელობას 26 მაისს, საქართველოს დემოუკიდებლობის დღეს ექნებოდა და მიუხედავად საბჭოთა აგიტატორული მუშაობისა ხალხი ამ დღეს დიდი მოლოდინით ელოდა, ელოდნენ რადგან ის განასახიერებდა მათ გმირულ ბრძოლასდაიმდიდგარდაქმნებს,რომელიცამდღემმოუტანასაქართველოს. ამგვარი განწყობის უგულებელყოფა კი საბჭოთა ხელისუფლებას არ შეეძ-ლო, ის ჯერ არ იდგა იმდენად მყარად, რომ მოსახლეობის დიდ წინააღ-მდეგობას სათანადოდ შეხვედროდა. თეორიულად არსებობდა შანსი, რომ დემოკრატიული ხელისუფლება ემიგრაციიდან დაბრუნდებოდა და შეძლებდა საქართველოს მოსახლეობის ოკუპანტთა წინააღმდეგ აჯანყებას, რასაც შესაძლოა მთელი კავკასია ცეცხლის ალში გაეხვია და მძიმე შედეგები დაეყენებინა საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლებისთვის. სამწუხაროდ ისტორიიდან ვიცით, რომ ასეთი სცენარი არ დამდგარა, საქართველოს დემოკრატიულმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო ძალაუფლების დაბრუნება, თუმცა ასი წლის წინ ყველა ჭორი თუ თეორია რეალობად განიხილებოდა, ამიტომ საბჭოთა ხელისუფლებას სხვა გზა არ ჰქონდა გარდა იმისა, რომ დაეშვა პირველად და როგორც შემდეგ გახდა ნათელი უკანასკენლად აღნიშნულიყო საბჭოთა საქართველოში, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების დღე, 26 მაისი.

რევოლუციური კომიტეტი (რევკომი) ხვდებოდა, რომ სრულად წინ ვერ აღუდგებოდა 26 მაისის მნიშნელობას, ამიტომ პრესის მეშვეობით მოსახ-ლეობისთვის მცდარი შეხედულების ფორმულირებას შეუდგა, თუ რატომ ებრძოდა საბჭოთა რუსეთი 1918 წლიდან საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და რატომ აღნიშნავდა ახლა გასაბჭოების შემდეგ 26 მაისს, გაზეთი „კომუნისტის“ ფურცლებზე ვკითხულობთ: „ჩვენ უარვყოფდით არა ქართველი ერის დამოუკიდებლობის იდეას, არამედ ვებრძოდით

ფაქტიურად შექმნილ მის შინაარს და ფორმას. კომუნისტური პარტია აღიარებს თვითგამორკვევას არა მარტო ქართველი ხალხისას, არმედ ისეთ ხალხებისაც, რომელნიც, უკუღმართი ისტორიული ვითარების წყალობით, ჯერ კიდევ ვერც კი ჩამოყალიბებულან სავსებით მთლიან ეროვნულ სხეულად და განვითარების მეტად დაბალ საფეხურზე იმყოფებიან.“ (კომუნისტი N69, 1921).

ამ ტექსტით თითქოს საბჭოთა ხელისუფლება ქართველ ხალხს მის კეთილგანწყობას და პატიოსნობას უმტკიცებს, რომ საქმე არა საქართველოს დემოუკიდელ რესპუბლიკად არსებობაში იყო, არა ის არ წარმოადგენდა პრობლემას, რადგან კომუნისტები თვითგამორკვევის უფლებას აღიარებ-დნენ, საქმე მმართველ ელიტაში, ანუ „მენშევიკებში“ იყო და რახან ისინი აღარ არიან ქვეყანაში აწი ყველა საკითხი ადვილად მოგვარებადი გახდა. რათქმაუნდა ეს იყო სიცრუე, საბჭთა ხელისუფლებას სწორედ საქართველოს დამოუკიდებლობა არ სურდა.

მართალია საბჭოთა ხელისუფლებამ დაუშვა 26 მაისი აღნიშვნა, თუმცა დიდი სააგიტაციო და სადამსჯელო ზომები მიიღო, რათა რაც შეიძლება შეემცირებინა აღმნიშვნელ ხალხთა რაოდენობა. პრესა თუ აგი-ტატორთა ჯგუფები დაუღალავად მუშაობდნენ ამ დღის მნიშვნელობის განეიტრალებისთვის. იბეჭდებოდა სტატიები, სადაც მუდმივად განი-კითხებოდა და სიძულვილით იხსენიებოდა წინა ხელისუფლება, როგორც მოძალადე და მშრომელი ხალხის მჩაგვრელი რეჟიმი. სწორედ ასე ეხმიანება ამ საკითხს გაზეთი „კომუნისტი“ 1921 წლის 25 მაისის გამოცემაში:

„ამხანაგებო! თებერვლის სოციალისტურმა გადატრიალებამ საქარ-თველოში გაანთავისუფლა ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატი და მშრომელი გლეხობა ანტანტის ბრჭყალებიდან და კაპიტალის დამქაშების, მენშევიკების მძიმე უღლიდან. რევოლიუციონური მოძრაობის ისტორიაში არ ყოფილა და არ იქნება არასოდეს მაგალითი, რომ კლასიური თანამშრომლობით (პროლეტარიატისა ბურჟუაზიასთან) მუშათა კლასს მიეღწია ბურჟიაზიის ჩაგვრისაგან შრომის სრული განთავისუფლებისათვის. „“დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისაკენ“ მიმავალმა შრომის გამცემლებმა გერმანიაში, სოციალ-დემოკრატებმა (შეიდემანი, ნოსკე და კომპანია) გერმანიის მუშათა კლასი ჩაუგდეს ხელში პრუსიის იუნკრობას და ხელი შეუწყვეს რეაქციის გაბატონებას. საქართველოს ყოფილმა მმართველებმა, მენშევიკებმა, ამავე „დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისაკენ“ გაამეფეს საქართველოს მუშათა კლასზე დასავლეთ ევროპის კონტრრევოლიუცია და გააძლიერეს ყვითელ ნაციონალისტური პარტიების გავლენა.“ (კომუნისტი N68, 1921) საბჭოთა ხელისუფლება ხვდებოდა, რომ რთული იქნებოდა დამოუკი-დებელი სახელმწიფოებრიობის იდეის განეიტრალება, ამიტომ აქცენტი გადაიტანეს ფიზიოლოგიურ და ბუნებრივ თავისუფლებაზე, თითქოს სამყაროში თვით სახელმწიფო, როგორც საზოგადოების გამაერ- თია-ნებელიც არაა რეალურად დამოუკიდებელი და მხოლოდ სოცია- ლურ საკითხსა და შრომას შეუძლია ნამდვილი თავისუფლების შექმნა. ეს ტყუილით შეთხზული თეორია მიმართული იყო საქართველოს სახელმწიფოებრიობის იდეის დაჩრდილვისკენ: „ადამიანს სწყურია ასევე

სულ განთავისუფლდეს საზოგადოებივ დამოუკიდებულებისაგან, მაგრამ ეს მხოლოთ თანდათანობით დროს განმავლობაში და იმდენით, რამდენათაც ამას საზოგადოებრივი შრომის პირობების განვითარება ხელს უწყობს. თვით სახელმწიფო კი - ეს უძლიერესი საზოგადოებრივი ორაგიზაციაა, როგორც ძალდატანების გამტარებელი, მაშასადამე დამოკიდებულების, დამორჩილების და არა დამოუკიდებლობის და თავისუფლების, გამოდის, რომ ჩვენ 26 მაისს ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობას აღნიშვნით ვდღესასწაულობთ ჩვენივე ურთიერთ შორის დამოკიდებულებას და საზოგადოებრივ მორჩილება-მონობას. ეს მართლაც ასე იქნებოდა, თუ ჩვენ ამ 26 მაისს ვიდღესასწაულებდით იმ აზრით, რა აზრითაც ჩვენმა მენშევიკებმა და ნაციონალისტებმა იგი 1918 წლის 26 მაისის აქტით დააარსეს. მაგრამ ეს ასე როდია.“ (კომუნისტი N68, 1921)

სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ მიუხედავად იმისა, რომ არ სურდა 26 მაისი ხსენებაც კი დიდი მუშაობა გასწია ამ დღის ორგანიზებაში, თუმცა ბუნებრივია ეს არ იყო რეალურად საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, ეს იყო საბჭოთა ხელისუფლების სცენარით დადგუმი სპექტაკლი, სადაც თითქის ყველა 26 მასის მნიშვ-ნელობაზე და როლზე საუბრობდა, თუმცა საქმე იმაში იყო, რომ საბჭთა ხელისუფლებამ სცადა დამოუკიდებლობის დღის მოპარვა. მათ ეს დღე საკუთარ მიზნებსა და იდეებს მოარგეს უწოდეს მას მშომელი ხალხის გამარჯვების დღე და წარმართეს იგი იმგვარად, როგორადაც ეს საოკუპაციო ხელისუფლებას სურდა.

გაზეთ „კომუნისტ“-ში დაიბეჭდა იმ თეზისების ჩამონათვალი, რომე-ლიც წაკითხული იქნებოდა „დღესასწაულზე“, მოვიყვანთ ამ თეზისებს და ვფიქრობთ გასაგები იქნება, თუ რა მიზანს ემსახურებოდა 1921წელს გამართული 26 მაისის „აღნიშვნა“:

„თეზისები 26 მაისისათვის

1) 26 - მაისს გამოცხადდა საქართველოს ხალხის დამოუკიდებლობის იდეა.

2) 26 - მაისი შედეგია ოქტომბრის რევოლუციისა.

3) 26-მაისიმენშევიკებისპარტიამგამოიყენასაქართველოსმშრომელთა მასის დამონებისათვის იმპერიალისტურ ანტანტას, მენშევიკების და ბურ-ჟუაზიის ხელისუფლების გასაძლიერებლად.

4) 26 - მაისს ჩვენ კომუნისტები ვუქმობთ, როგორც ნამდვილ დამოუკიდებელ დღესასწაულს საქართველოს მშრომელთა მასისი განთა-ვისუფლებისას მენშევიკების და ევროპის კაპიტალიზმისაგან.

ლოზუნგები

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს მუშათა და გლეხთა დამოუკი-დებლობას!

გაუმარჯოს პატარა ერების გამანთავისუფლებელ მუშათა და გლეხთა რუსეთის ძლიერ წითელ არმიას.

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარულ რევოლუციას.

გაუმარჯოს III კომუნისტურ ინტერნაციონალს.“ (კომუნისტი N68,

1921) ეს თეზისები და ლოზუნგები გვიჩვენებენ რეალურ შეინაარს თუ რა მიზანს ემსახურებდა საბჭოთა ხელისუფლებისთვის 26 მაისი აღიშვნა. საბჭოთა საოკუპაციო ძალამ ეს მართლაც გამორჩეული და ეროვნული მნიშვნელობით გაჯერებული დღე გარდაქმნა საკუთარი ექსპანსიონისტური პოლიტიკის პროპაგანდის „ზეიმად“, სადაც ცდილობდა მოსახლეობა დაეჯერებინა მისი, როგორც „მშომელთა განმანთავისუფლების“ როლზე. ასე ცინიკურად მოახერხა საბჭთა ხელისუფლებამ დაპყრობილი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის დღის საკუთარი მიზნებისთვის გამოყენება. აი, როგორ ეხმაურება იგივე გაზეთი „კომუნისტი“ დამოუკიდებლობის დღეს:

„საქართველოს კომუნისტური პარტია იცავს ამ რესპუბლიკას და ემსახურება ქართველ მშრომელ ხალხის ინტერესებს. გაუმარჯოს 26 მაისს! გაუმარჯოს მშრომელთა საქართველოს ჭეშმარიტ დამოუკიდებლობას.!“ (კომუნისტი N68, 1921).

საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლება გარდა იმისა, რომ იარაღის ძალით მოახერხა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობა, მან უზარმაზარი პროპაგანდისტული მუშაობა გასწია წარსულის დავიწყების ან დამახინჯების საქმეში, მან მოახერხა ის, რომ დაპყრობილი ქვეყნის დამოუკიდებლობის დღე საკუთარი გამარჯვების დღედ გარდაექმნა, ხოლო შემდგომ წლებში საერთოდ გააქრო ის დღე, მისი მნიშვნელობა საქართველოს მოქალაქეთა გონებიდან.

საბჭოთა ხელისუფლებამ მხოლოდ ერთხელ, 1921 წლის 26 მაისს დაუშვა საზოგადოების თავშეყრა და ამ დღის აღნიშვნა, მართალია ის საოკუპაციო ხელისუფლების სცენარით წარიმართა თუმცა იყო გამორჩეული პრეცენდეტი საბჭთა მმართველობის პერიოდში, რადგან ის მეორედ აღარასდროს განმეორებულა. კომუნისტურ წყობას თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგის (მენშევიკები) ხსენება მხოლოდ უარყოფით კონტექსტში სურდა და ასეც დაამკვირდა 70 წლის მანძილზე, პრესა თუ სამეცნიერო ნაშრომები, რომლებიც ამ პერიოდს და ამ საკითხს ეხებოდნენ მკაცრად კონტროლირებულ დოგმას მიუყვებოდა, რომელიც მენშევიკებისა და 1918- 1921 წლების საქართველოს ხელისუფლების დემონიზაციას ემსახურებოდა. შემდგომ წლებში 26 მაისი, როგორც დამოუკიდებლობის დღე უარყოფილ იქნა, ის ჩაანაცვლა იმ დღემ, რომელიც დღეს ოკუპაციის დღედ არის წოდებული, 25 თებერვალი, დღე, რომელმაც ძალისმიერი გზით კომუნისტური წყობა დაამკვიდრა საქართველოში: „26 მაისი თუ 25 თებერვალი, - წამოიჭრა ასეთი საკითხი, და ჩვენი უმაღლესი მთავრობაც ადგენს: „სრულიად საქართველოს საბჭოთა პირველი ყრილობის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს ნამდვილი დამოუკიდებლობის დღესასწაული შეფარდებულ იქნეს სრულიად საქართველოს საბჭოთა პირველი ყრილობის დღესთან - თებერვლის 25-თან“.“ (კომუნისტი N117, 1922).

ამგვარად საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლებამ პირველად და უკანასკნელად „აღნიშნა“ 26 მაისი 1921 წელს. კომუნისტებმა სრულად გამოაცალეს 26 მაისს თავისი რეალური მნიშვნელობა და გამოიყენეს ის საკუთარ ხელისუფლების გაძლიერებისთვის, მათ იმდენი მოახერხეს,

რომ საქართველოს მოსახლეობა საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს „ექსპლუატატორული, კაპიტალისტური ხელისუფლებისგან მშრომელთა განთავისუფლება აზეიმეს“.

საბჭოთა საქართველოში პირველა და უკანასკნელად იქნება აღნიშნული 26 მაისი 1921 წელს, მას შემდეგ ეს დღე მივიწყებულ იქნა საბჭოთა ხელისუფლების დიდი შრომის შედეგად, ხოლო საზოგადოების ცნობიერებაში გაქრა ამ დღის მნიშვნელობა, მანამ სანამ არ დაინგრა „ბოროტების იპერია“ და საქართველომ კვლავ არ აღიდგინა თავისუფლება 1991 წელს, მას შემდეგ საქართველოში დამოუკიდებლობის დღე კვლავ 26 მაისს აღინიშნება.

დასკვნა

გასაბჭოების შემდეგ თანდათანობით 26 მაისმა თავისი მნიშნელობა საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლების ბატონობის დროს დაკარგა, ის მხოლოდ ერთადერთხელ იქნა აღნიშნული ისიც შინაარს გამოცლილი, რის შემდეგაც ისტორიიდან და ზოგადად სწავლებიდან ამოიღეს და შეეცადნენ მის გაქრობას. საქართველოს დამოუკიდებლობის დღის, 26 მაისის ჩანაცვლება იმ დღით სცადეს, რომელიც დასაწყისი იყო საქართველოში საბჭოთა ტერორისა და ტოტალიტარული მმართველობის, 1921 წლის 25 თებერვალი გახდა ახალი საბჭოთა სოცილისტური საქართველოს მთავარისთვის მთავარი აღსანიშნავი დღე, მათი ხელისუფლების დამყარების და ძველი დემოკრატიული მთავრობის დასასრულის დღე.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

gazeti *“komunisti”*. (1922) N 117 (გაზეთი *“კომუნისტი”*(1922). N117).

gazeti *“komunisti”*. (1921) N 68 (გაზეთი “კომუნისტი”(1921). N 68).

gazeti *“komunisti”*. (1921) N 68 (გაზეთი *“კომუნისტი”*(1921). N 68).

gazeti *“komunisti”*. (1921) N 68 (გაზეთი “*კომუნისტი”*(1921). N 68).

gazeti *“komunisti”*. (1921) N 68 (გაზეთი *“კომუნისტი”*(1921). N 68).

gazeti *“komunisti”*. (1921) N 68 (გაზეთი *“კომუნისტი”*(1921). N 68).

ghlonti, t. (1923). *menshevikuri da sabchota saqartvelo*. tbilisi. ღლონტი, თ. (1923). *მენშევიკური და საბჭოთა საქართველო*. ტფილისი.